

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

06.05.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
მანანა მიქაბერიძე- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გრიგოლ მურლულია - განათლების ექსპერტი;
მარიამ ჯაში - ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შეგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს განათლების კომიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორი;
3. გრიგოლ სულაბერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. ლელა თვარაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;
5. ირინე ვაშაკიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. მარინე კობალავა - შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას პრორექტორი;
7. ნინო ბოჭორიშვილი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

დავით ბოსტოლანაშვილი;

ციური დურული;

მარინა გელევანიშვილი;

ელენე გვენცაძე;

ევა ეკალაძე;

ანა კლდიაშვილი;

თამარ გაიხარაშვილი;

ეკატერინე ბალიშვილი;

შორენა ხუბუნაია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:45 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს თბილისის დავით ალმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში წერილობითი შუამდგომლობა, შპს წარადგინა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის დღის წესრიგის ბოლოს საკითხად გადადების თაობაზე. წარმოდგენილ შუამდგომლობაში დღის წესრიგის ბოლოს საკითხად გადადების თაობაზე. წარმოდგენილ შუამდგომლობაში დაწესებულების წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს საბჭოს სხდომაზე გამოცხადებას. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი.



1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა დავით ბოსტოლანაშვილმა და ციური დურულმა.

ექსპერტების განმარტებით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში სტუდენტთა კონტინგენტი გაიზარდა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის შეცვლილ პერიოდში 841-ით. აგრეთვე, გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. დაწესებულების 841-ით. აგრეთვე, გაიზარდა საგანმანათლებლო ფართის რაოდენობა არ შეცვლილა და წარმოადგენდა 20 706, 59 კვ. მეტრს. საკუთრებაში არსებული ფართის რაოდენობა არ შეცვლილა და წარმოადგენდა 20 706, 59 კვ. მეტრს. თუმცა, საგრძნობლად გაუმჯობესდა აღნიშნული ფართი და კეთილმოწყობილ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიზარდა ასევე აკადემიური პერსონალის რაოდენობაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ეფუძნებოდა თუ არა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე რაიმე კვლევას ან დასაბუთებულ გარემოებებს.


დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 7 000 -ით, საიდანაც 200 ადგილი გათვალისწინებული იყო პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულება გეგმავდა ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას. დაწესებულებამ გამოყო ფინანსური რესურსები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და თუ არ მოხდებოდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, ვერ მოხდებოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელებაც. მზადდებოდა ასევე, ახალი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებიც. გაუმჯობესებული იყო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაზრდილი იყო აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ავტორიზაციის ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლის მიმართ.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რამდენი იყო სასწავლო პროცესის დატვირთვის კოეფიციენტი დაწესებულებაში არსებულ ფართზე, ანუ შეძლებდა თუ არა ის ერთ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ორ ცვლაში, რაც საშუალებას იძლეოდა დამატებითი ფართის საჭიროების გარეშე არსებული ფართით ესარგებლათ რაციონალურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რამდენი ადგილით სურდათ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა დაახლოებით 1200 ადგილით სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, აკმაყოფილებდა თუ არა დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს, მოთხოვნილი ადგილების რაოდენობის პირობებში.

ექსპერტების განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს შეფასდა ყველა ის მაჩვენებელი, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას. აღნიშნული შეფასების საფუძველზე დაწესებულება შეძლებდა მითითებული ოდენობის სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სექტემბერში როდესაც ახალი ნაკადის სტუდენტები დაემატებოდა დაწესებულებას, ფაქტობრივად სრულად შეივსებოდა არსებული კონტიგენტი. ამასთან, დაწესებულება სრულფასოვნად ვეღარ ღებულობდა მონაწილეობას გარე მობილობის პროცესში.

ექსპერტმა, დავით ბოსტოლანაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ორიენტირებული ყოფილიყო საბაზრო მოთხოვნებზე და არა კონტიგენტზე. იმ პირობებში როდესაც, დაწესებულება ზღვარზეა სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან, რთული იყო რესურსების სწორად მართვა.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ გამოშვებული კურსდამთავრებულების რაოდენობა უნდა ეთანხმებოდეს საბაზრო მოთხოვნებს, მათი სამომავლო დასაქმების ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მიზანშეწონილია შემუშავებულიყო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს საბჭომ დაწესებულებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის კვლევა ჩატარებული კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ რეგულარულად ტარდებოდა ასეთი სახის კვლევები, რომლის შედეგები განსხვავდებოდა სპეციალობების მიხედვით. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ.

მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ სამომავლოდ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებაშ უფრო მეტი მტკიცებულებებით გამყარებული და არგუმენტირებული პოზიცია უნდა წარმოედგინა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 8 000-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე- 6

წინააღმდეგი-0



გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით
დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის
პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2
პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს
(საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაენსაზღვროს
8 000 - ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს
700-ით.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა ეკალაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ანა კლდიაშვილმა.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც ექსპერტთა მიერ უნდა გადამოწმებულიყო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ, ექსპერტების მიერ უნდა მომზღვდარიყო დადგენა, გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აქვს 5 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული რეკომენდაცია - მიღების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა - გათვალისწინებულია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეების არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება. საქართველოს მოქალაქეებისთვის კვლავ რჩება - „დადგენილი წესით“ ჩარიცხვა;

2. სილაბუსების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო ინგლისურ და რუსულენოვანი ლიტერატურა. ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნული პრობლემა უნივერსიტეტის მხრიდან გამოსწორებულ იქნა. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ სილაბუსებში (მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია 1,2; სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა, წამალთტექნოლოგია 3 - აღნიშნული პრობლემა უკვე გამოსწორებული იყო);

3. სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ნაწილში სწავლის მიზანი და შედეგები მსგავსია. მაგ., ბოიფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში - წამლებისადმი რეზისტენტულობა და ფარმაცევტული ნანოტექნოლოგიების საფუძვლები 1,2,3, წამლის დიზაინი და მიზანმიმართული მიწოდება 1,2, მოლეკულური ფარმაკოლოგია და მოლეკულური ბიოლოგიის კვლევის საფუძვლები 1,2; ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში - ანალიზი 1,2, კოგნიტური ფსიქოლოგია 1,2, ინკლუზიური განათლების მეთოდიკა 1,2. ვიზიტის მიმდინარეობისას ზემოთ მითითებული ფაქტი გასწორებულ იქნა;

4. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული რეკომენდაცია არჩევითი კურსის სტატუსის მქონე საგნების შესახებ, რომელთა გარეშეც „საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება“ არ მიიღწევა, გათვალისწინებულია - აღნიშნული კურსები

გადატანილია სავალდებულო საგნების სიაში;

5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - არც ერთ პროგრამას რომელიმე კონკრეტული უცხო ენის ცოდნა წინაპირობად მითითებული არა აქვს. საბაკალავრო პროგრამებზე ისწავლება მხოლოდ ინგლისური ენა სამი სემესტრის განმავლობაში (ინგლისური 1,2,3). თითოეული კურსის დასრულების შემდეგ მისაღწევი კომპეტენციაა A1(elementary), A2(elementary) B1.1 (preintermediate) - შესაბამისად. შედეგად, სტუდენტს, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს ინგლისური ენა, ამ კუთხით განვითარების შესაძლებლობა არა აქვს. ხოლო სტუდენტს, რომელსაც სხვა უცხოური ენა აქვს ჩაბარებული, აქვს ინგლისური ენის ელემენტარულიდან სწავლის ვალდებულება. ამავე დროს, დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ „საერთაშორისო ბაზრისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, სწავლების, სწავლის კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლება უცხო ენეზე (უმეტესად - ინგლისურ ენაზე) ...“. ინგლისური ენის კურსების სილაბუსებში მითითებულია, რა დონეს უნდა ფლობდეს სტუდენტი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, თუმცა, ინგლისური 3-ის სილაბუსით მისაღწევი დონეა B1.1 (preintermediate), მაშინ, როცა მაგისტრატურისთვის ბაკალავრიატის მიერ მიცემული ცოდნა უნდა უტოლდებოდეს B2 (intermediate)-ს. ინგლისური ენის სილაბუსებში სწავლების ენად ქართულია მითითებული. ყველა სამაგისტრო პროგრამაზე ისწავლება ინგლისური ენა არჩევითი კურსის სახით, რომლის დაშვების წინაპირობადაც მითითებულია ენობრივი მომზადების მე-3 დონე (pre-intermediate). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდებით მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს უცხო ენის ცოდნის B2 დონე, ზემოაღნიშნული კურსის სწავლების აუცილებლობა ეჭვს იწვევს; მეორეს მხრივ კი, პროგრამის მიღების წინაპირობად ინგლისური არ არის განსაზღვრული, ამიტომ თუკი მაგისტრანტი პროგრამაზე ჩარიცხულია სხვა უცხოური ენით, ამ კურსის არჩევის საშუალება არ აქვს;

6. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული ფაქტი, რომ კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკის ხელშეწყობისათვის საჭიროა არსებული ბაზების გაფართოება - ძალაში რჩება;

7. სადოქტორო პროგრამით „მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ფარმაციაში“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „ფარმაციის დოქტორი“ (ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია - მისანიჭებელი კვალიფიკაციის კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ - გათვალისწინებულია);

8. წარმოდგენილ პროგრამებს არ ახლავს თან სწავლის შედეგების რუკა, რომლის მიზანშეწონილებაც დაწესებულებას თავადვე აქვს განსაზღვრული შინაგანაწესით. ამასთანავე, პროგრამებში არ არის აღწერილი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და დასაქმების სფეროები;

9. ყველა სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში ვკითხულობთ: სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანლის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია მხოლოდ 60 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-3 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. მსგავსი ჩანაწერია საბაკალავრო პროგრამების აღწერილობაშიც: საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანლის არჩევა სტუდენტს შეუძლია მხოლოდ 210 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-8 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. იდენტური ჩანაწერი არსებობდა დაწესებულების შინაგანაწესშიც. თუმცა, იქვე მითითებულია, რომ დასაშვებია, სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ანდა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. რაც ნიშნავს, რომ სტუდენტი შესაძლებელია იყოს მე-8 სემესტრში და არ ჰქონდეს მოგროვებული 210 კრედიტი, რაც მას არ აძლევს მე-8 სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის განხორციელების უფლებას. ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნული ჩანაწერი შეცვლილი იქნა (უნივერსიტეტის ბრძანება #010/01 5.04.2016);

10. წარმოდგენილი პროგრამებით გათვალისწინებულია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება. ზოგიერთ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამაში აღნიშნული კურსი ორ სემესტრადაა წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სასწავლო კომპონენტად მოიაზრება: სემესტრადაა წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სასწავლო კომპონენტად მოიაზრება: (ფარმაციის მენეჯმენტი - 45 კრედიტი: მე-3 სემესტრში - 15, მე-4 სემესტრში - 30 კრედიტი; ტურქეთის მფოდნეობა - 22 კრედიტი: მე-3 სემესტრში 5, მე-4 სემესტრში - 17 კრედიტი; ბიოფარმაცია - 45 კრედიტი: მე-3 სემესტრში - 15, მე-4 სემესტრში - 30 კრედიტი; საექთო საქმე - 18 კრედიტი: მე-7 სემესტრში - 4, მე-8 სემესტრში - 14). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მიხედვით კი სასწავლო კომპონენტი ერთსემესტრიანია. აღსანიშნავია, რომ არც ერთ პროგრამას არ ახლავს აღნიშნული კურსების, როგორც საგანმანათლებლოპროგრამის კომპონენტების, სილაბუსები, თუმცა ინფორმაცია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების არჩევისა და დაცვის შესახებ დეტალურადაა გაწერილი როგორც პროგრამაში, ასევე შინაგანაწესში. აღნიშნულ სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებულია მხოლოდ ნაშრომის შეფასება;

11. სადოქტორო ნაშრომის დაცვის კრიტერიუმებიდან - სადოქტორო სემინარი (8 კრედიტი) ერთ სასწავლო კურსად მოიაზრება, თუმცა ორ სემესტრშია განაწილებული (3-კრედიტი- მესამე სემესტრში, 5 კრედიტი- მე-5 სემესტრში) ასევე რამდენიმე სემესტრზე განაწილებული პროფესორის ასისტირება (5 სემესტრი) და სადისერტაციო ნაშრომის შესრულება (6 სემესტრი) და დეტალურად გასაწერია;

12. სადოქტორო პროგრამაში „მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ფარმაციაში“ გათვალისწინებული სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა 6 სემესტრზე გაწერილი - აღნიშნული კომპონენტების სილაბუსი არ არსებობს, თუმცა პროგრამას ახლავს კვლევითი კომპონენტების სამუშაოს დეტალური განაწილება;

13. წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში სადოქტორო სემინარის მიზნის აღწერისას ასეთი ჩანაწერია „დოქტორანტმა სილრმისეულად უნდა შეისწავლოს მის მიერ არჩეული კვლევის სფეროში არსებული კონცეფციები, პრობლემები, ფაქტორები, ეფექტები და შედეგები. დოქტორანტი კვლევის საგნის შესახებ მიმოიხილავს არსებულ ლიტერატურას და პერიოდულ დარგობრივ ჟურნალებს, მოცემული თემის შესახებ დაწერს დაწვრილებით ანგარიშს“ - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ერთი კონკრეტული კვლევის პროგრამას გულისხმობს, ამიტომ აქ გარკვეულია „კვლევის საგანი“. ერთი გარდა ამისა, თუკი სადოქტორო სემინარი ლიტერატურული მიმოხილვის დაწერას გულისხმობს, ეს უკვე დისერტაციის ნაწილია, რაც შემდეგ, დისერტაციის დაცვისას, ისევ შეფასებას ექვემდებარება;

14. დოქტორანტურის შესახებ შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ 180 კრედიტიდან 45 კრედიტი მოიცავს სასწავლო კომპონენტს, დანარჩენი კი კვლევაზე გათვალისწინებული. პროგრამის აღწერილობაში ეს განაწილება სიტყვიერად არ წერია, ხოლო პროგრამის სტრუქტურაში (სასწავლო გეგმაში) მითითებული იყო - კვლევაზე 130 კრედიტი, სასწავლო კომპონენტზე კი - 40. ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნული შეუსაბამობა გამოსწორდა;

15. ავტორიზაციის პროცესის დროს გამოვლენილი ფაქტი, რომ არჩევითი კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდა შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამს - მონიტორინგის ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა - სტუდენტს აქვს არჩევანის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა და გამოასწორა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები. გაითვალისწინა და გამოასწორა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები. მათი თუმცალა, ისევ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწაზე მუშაობა, მათი სააკრედიტაციოდ წარდგენის მიზნით.

მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით, ხოლო რაც შეეხებოდა საქართველოს მოქალაქეებს, მათთვის

ხელმისაწვდომი იყო როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე დაწესებულების შინაგანაწესი. მან ასევე, განმარტა, რომ საბჭოს შესაბამისი მითითების შემთხვევაში დაწესებულება გამოთქვამდა მზაობას აღნიშნული ჩანაწერი გაეკეთებინა საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებითაც.

საბჭოს წევრის, მარიამ ჯაშის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საკმარისი საფუძველი იყო დაწესებულებისათვის, რათა შესაბამისი ცვლილებები განეხორციელებინა. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ჩანაწერით, რომელიც შეეხებოდა კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკის ხელშეწყობისათვის არსებული ბაზების გაფართოების საჭიროების საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება არ ახორციელებდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელისთვისაც აუცილებელია სპეციალიზირებული ბაზის არსებობა. იმ პროგრამებისთვის, რომელსაც ახორციელებდა დაწესებულება, გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები რამოდენიმე სააფთიაქო ქსელთან, ფარმაცევტული პრეპარატების მწარმოებელ კომპანიასთან და ფარმაკო ქიმიის ინსტიტუტთან. ამასთან, სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად, მიმდინარეობდა კიდევ დამატებითი ბაზების მოძიება.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად, იმის თაობაზე აუცილებელია თუ არა თავად დაწესებულებაშიც არსებობდეს სპეციალური ბაზა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

ექსპერტების განმარტებით, ნაწილი პროგრამებისათვის, რომელსაც დაწესებულება ახორციელებდა მას ჰქონდა შესაბამისი რესურსი დაწესებულებაში, თუმცადა აღნიშნული რესურსი გაუმჯობესებას საჭიროებდა. ხოლო ნაწილო პროგრამების განსახორციელებლად დადებული ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულებები. სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად არ ჰქონდა შესაბამისი ბაზები.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვამ განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის განხორციელებას შეძლებდა მხოლოდ აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესში გადამოწმდებოდა პროგრამა. დაწესებულება ადრე წარმოადგენდა სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო აღნიშნული სადოქტორო პროგრამის საავტორიზაციოდ წარმოდგენით მან მოიპოვა უნივერსიტეტის სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებით, რომელიც შეეხებოდა ინგლისური ენის სწავლებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას. ამასთან, დაწესებულება გამოხატავდა მზაობას უმოკლეს დროში ცენტრში წარმოედგინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებისათვის 30 დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.




კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს ა(ა)იპ - საქართველოს საპატიო მეცნიერებებისა და კულტურის მინისტრის უნივერსიტეტში (საიდენტიფიკაციო კოდი: 204577582) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებას განესაზღვროს 30 დღის ვადა.



3. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გაიხარაშვილმა.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ექსპერტთა მიერ უნდა გადამოწმებულიყო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ, ექსპერტების მიერ უნდა მომხდარიყო დადგენა, გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები.

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა რიგი ცვლილებები.


თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა მათი არაინფორმირებულობა სასწავლო კურსების შინაარსთან მიმართებით, თუმცად აღნიშნული საკითხის ღრმად გამოკვლევა ვერ მოხერხდა ვიზიტის ფარგლებში, რადგანაც ექსპერტთა მოსაზრებით ეს აკრედიტაციის ექსპერტთა კომპეტენციას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას 7 საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი და აღნიშნული წარმოების ფარგლებში მოხდებოდა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.




კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი-6

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204393717) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



4. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკატერინე ბალიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, შორენა ხუბუნაიამ.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ ფართის ცვლილება. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის შემოწმება და სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ერთადერთი შენიშვნა დაფიქსირდა დაწესებულებაში გათბობის სისტემასთან დაკავშირებით. სისტემა გაყვანილი იყო და როგორც კი მოხდებოდა გათბობის ქვაბისა და რადიატორების შეძენა, მაშინვე დაიწყებოდა გათბობის სისტემა ფუნქციონირებას. საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე მოხდა გათბობის ქვაბისა და რადიატორების შეძენა და ერთ კვირაში სისტემა დაიწყებდა ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიასთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი-6

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯარების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204876991) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს სხდომაზე შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლების გამოცხადებლობის გამო, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო საკითხის განხილვის გადადება, ვინაიდან მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო ისეთი გარემოებები, რომელზეც საჭირო იყო დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებების დაფიქსირება. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის მომდევნო სხდომისთვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადაიდოს მომდევნო სხოდმისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მანანა მიქაბერიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე

